საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგი

2010 წელი

ლევან გენძეხაძე
მამუკა ჩიხლაძე

ძირითადი მიზნები

- ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების საქმიანობის მონიტორინგი;
- ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების ფინანსური და ეკონომიკური ეფექტურობის მონიტორინგი;
- ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების წარმოების ძირითადი საშუალებების, დანახარჯების, ფულადი ნაკადების აღრიცხვისა და ფინანსური შედეგების მდგომარეობის და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ზოგადად ბაზრის მონიტორინგი.

მონიტორინგის პროცესი

- კომისიის დადგენილებით დამტკიცებულია "ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები";

- კომისიის გადაწყვეტილებებით ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორისათვის დამტკიცებულია კვარტალური საწარმოო-სტატისტიკური და წლიური ფინანსური ანგარიშგების ფორმები;

- კომისია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში არსებულ საწარმოებიდან მიღებულ კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგების ფორმების მიხედვით, ახორციელებს ამ საწარმოების საქმიანობის მონიტორინგს.

საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოს კანონები:

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
- „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“

მოქმედი კანონქვემდებარე აქტები:

- კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის № 23 დადგენილება:

„ ელექტროენერგეტიკისა, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“

1. „ელექტროენერგეტიკის ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის კონტროლის წესები“
2. „ლიცენზირების წესები“

- კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის № 20 დადგენილება:

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ

საქმიანობის კონტროლის სახეები და ანგარიშგების წარმოდგენის ვადები

- საქმიანობის – მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება.
- შერჩევითი შემოწმება.

- ელექტროენერგეტიკის სექტორში საქმიანობის განმხორციელებელი ყველა მეწარმე ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე, კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ფორმით, წარუდგინოს კომისიას საქმიანობის-მომსახურების პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება, ხოლო ყოველი კვარტლის დამთავრებიდან ერთი თვის განმავლობაში კვარტალური საწარმოო-სტატისტიკური ინფორმაცია;
- მომავალი წლის სამუშაო გეგმა;
- მიმდინარე და მომავალი წლის საინვესტიციო პროგრამა;
- გაფორმებული ხელშეკრულებები (მოთხოვნის შემთხვევაში);
- სხვა ინფორმაცია რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

ანგარიში დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების მქონე პირების მიერ.

საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნები და პირობები

- ანგარიშგების წარმოება ბუღალტრული აღიცხვისა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
- ენერგეტიკული ბაზრის სუბიექტების (წარმოება, იმპორტი, დისპეტჩერიზაცია, გადაცემა, განაწილება, ექსპორტი) ქსელში წარმოებული, გაშვებული, მიღებული და მიწოდებული ენერგიის რაოდენობის აღრიცხვა;
- კომისიის მოთხოვნების სათანადოდ შესრულების უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას – თითოეული საქმიანობის განცალკავებულად აღრიცხვა და ანგარიშგება კომისიის წინაშე;
- საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი ანგარიშგების წარდგენა.

კომისიის აპარატის მიერ ლიცენზიატების საქმიანობის მონიტორინგისას გამოიყენება ლიცენზიატების მიერ ყოველწლიურად მოწოდებული მასალების ანალიზი.

ლიცენზიატებიდან მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეაგირების ფორმები:

- რეკომენდაცია წერილობითი ფორმით, კომისიის გადაწყვეტილება მათი გამოსწორების კონკრეტული ვადის მითითებით;
- დაჯარიმება მარეგულირებლის გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების არ შესრულებისათვის;
- კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში ლიცენზიატის მიერ კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას და ლიცენზიატს კვლავ განესაზღვრება ვადა მოთხოვნების შესასრულებლად, ამ ვადის გასვლისათვის მოთხოვნების კვლავ შეუსრუ-ლებლობისათვის დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება;
- ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაუქმების შესახებსს;
- კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე შესაძლებელია კომისიის მიერ დანიშნული იქნას სპეციალური მმართველი – ლიცენზირებული საქმიანობის პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური ანგარიშგება
კვარტალური საწარმოო-სტატისტიკური ანგარიშგება

- კვარტალური ანგარიშგების ფორმები იძლევა გარკვეულ წარმოდგენას საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და აქვს სტატისტიკური დატვირთვა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება გარკვეული ფინანსური დასკვნები საწარმოს საქმიანობაზე;

- მიღებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შედარებითი ანალიზისათვის და მის საფუძველზე ხდება შესაბამისი დასკვნების გაკეთება: სისტემაში არსებული დანაკარგების გაანალიზება და მის საფუძველზე ნორმატიულ დანაკარგებთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების დადება;

- კვარტალური საწარმოო-სტატისტიკური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: კომპანიის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები, რეალიზაციის მოცულობა, ფასი და შემოსავალი, ინვესტიციები ძირითად ფონდებში, საწარმოო დანახარჯები, პერსონალის რაოდენობა.

ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგი და ანალიზი

- გამოიყენება ფასების განსაზღვრისა და კონტროლისათვის. წარმოადგენს სამართლიანი ტარიფების შექმნის საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობას და იცავს მომხმარებელთა ინტერესებს;

- კომპანიის ანგარიშგების სისტემა გასაგები უნდა იყოს მარეგულირებლისათვის, რათა შეიძლებოდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება, საჭირო ინფორმაციის ამოკრება სატარიფო მიზნებისათვის. იგი უნდა ითვალისწინებდეს ბასს – ის ძირითად პრინციპებს და შესაბამისობაში მოდიოდეს სააღრიცხვო პოლიტიკის კანონმდებლობასთან;

- კომისიისათვის, რომელიც იცავს მომხმარებელთა უფლებებს, მნიშვნელოვანია რომ, კომუნალურმა საწარმოებმა ფინანსური ანგარიშები წარმოადგინონ განცალკევებულად თითოეული რეგულირებადი საქმიანობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა

- ბალანსი;
- მოგება-ზარალის ანგარიშგება;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ;
- შენიშვნები ფინანსურ უწყისებში (განმარტებები).

❖ კომისიის გადაწყვეტილებებით მიღებული ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში არსებული საწარმოების მიერ წარმოსადგენი წლიური ფინანსური ანგარიშგების ფორმა (ნიმუში-დანართი 1).

❖ თითოეული რეგულირებადი საქმიანობის მიხედვით ანგარიშგების კომპონენტებში გარკვეული საბალანსო ანგარიშები წარმოდგენილია, საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შესაბამისი ქვეანგარიშების დონეზე.

❖ ანგარიშგების სტრუქტურული კომპონენტების მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა: საკუთარი კაპიტალის ღირებულების დონე, ლიკვიდობის დონე, რენტაბელობა, საინვესტიციო საქმიანობა.

მონიტორინგის ინსტრუმენტები

- ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის მონიტორინგისთვის, ასახავენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და განსაზღვრავენ ადრე მიღებული გადაწყვეტილებების და ტარიფების სტრუქტურების შედეგს.
- ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას ჩვეულებრივ გამოიყენება ორი ტიპის ანალიზი: <u>ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი და ტენდენციის ანალიზი</u>. ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი გვეხმარება კომპანიის საქმიანობის შეფასებაში დროის გარკვეულ მომენტში, ტენდენციის ანალიზი კი – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასევე ხდება შედარება იმავე დარგის სხვა კომპანიების შესაბამის ფინანსურ მაჩვენებლებთან.

ფინანსური მაჩვენებლების ანალიზიის ინსტრუმენტები იყოფა შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

- ლიკვიდურობის კოეფიციენტი – გვიჩვენებს თუ რამდენად შეუძლიათ კომპანიებს აუცილებლობის შემთხვევაში შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ანუ რამდენად სწრაფად შეუძლით თავიანთი აქტივების ნაღდ ფულად ქცევა.
- დავალიანების კოეფიციენტი – კომპანიის საერთო აქტივების ნასესხებ სახსრებთან ან/და საკუთარ შემოსავლებთან თანაფარდობა.
- აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი – გამოიყენება კომპანიის საწარმოო ციკლის ფასწარმოებისათვის და მისი მიმდინარე (ლიკვიდური) აქტივების შემადგენლობისათვის.
- რენტაბელობის კოეფიციენტი – გამოიყენება საწარმოს შემოსავლიანობითი საქმიანობის შეფასებაში.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

- ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი უნდა განხორციელდეს საწარმოს მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის საფუძველზე. ყველა ფინანსური პარამეტრი, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული კოეფიციენტების და მაჩვენებლების დასადგენად და გასაანალიზებლად წარმოდგენილია საბუღალტრო ბალანსებში, მოგება-ზარალის უწყისში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში;

- ამ და სხვა ფინანსური პარამეტრების ანალიზის საფუძველზე ფინანსურმა დეპარტამენტმა უნდა გააკეთოს დასკვნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ და უნდა წარუდგინოს თავისი წინადადებები კომისიას და შესაბამის დეპარტამენტებს;

- საწარმოს რეგულირებადი საქმიანობის ზოგადი ფინანსური ანალიზის გარდა უნდა განხორციელდეს ასევე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესწავლა და ტარიფის რეგულირების მიზნებისთვის უნდა მოხდეს დასკვნების მომზადება.

მონიტორინგის ანალიზური მიდგომები

- თუკი ლიკვიდურობის, დავალიანების, აქტივების ბრუნვის და რენტაბელობის მაჩვენებლები გადაიხრებიან დარგის საშუალო მნიშვნელობებისაგან, მარეგულირებელ ორგანოს შეუძლია ეჭვი შეტანოს სატარიფო ბაზაში;

- ცალკე ფინანსური მაჩვენებლების ინტერპრეტირება რთულია. ამიტომაც ფინანსური მაჩვენებლები ორ ასპექტში უნდა შეფასდეს, იმავე კომპანიის მონაცემების შესაბამისად განსაზღვრული დროის განმავლობაში და იმავე დარგის სხვა კომპანიებთან შედარებით. ორივე შედარება შეიძლება შესრულდეს ტენდენციების ანალიზის დახმარებით, განსაზღვრული დროის განმავლობაში ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებების ასახვით. ამ სახით განისაზღვრება თუ როგორ იცვლება საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები დრო და დრო და როგორ თანაბრდება დარგში საშუალო ტენდენციები.

ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგის შედეგები და ამოცანები

- ფულადი სახსრების თანხა, რომელიც ამოღებულ უნდა იქნას ტარიფებისაგან და რისთვისაც დაკმაყოფილებული უნდა იყოს საწარმოების გონივრული შემოსავლების უზრუნველყოფის აუცილებლობა და იმავდროულად დაცული იყოს მომხმარებელთა ინტერესები, ძალზედ ძლიერადაა დამოკიდებული სხვადასხვა გასავლის ელემენტების სწორ დანიშნულებაზე მარეგულირებელი საქმიანობების სახეობებისათვის;

- ბევრი კომუნალური საწარმო მუშაობს, როგორც მსხვილი კორპორაციების ქვედანაყოფები, რომლების სხვადასხვა სახის საქმიანობებს ეწევიან და ასეთ შემთხვევებში რთული ხდება იმ ფინანსური მაჩვენებლების იდენტიფიცირება, რომლებიც უშუალოდ რეგულირებად საქმიანობას განეკუთვნება, თუმცა მარეგულირებელი, როგორც წესი, ითხოვს ფინანსური შედეგებისა და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას განცალკევებულად, მაგრამ მიუხედავად ინტერპრეტირების გარკვეული ზოგადი მეთოდებისა, რომლებიც ძირითადად განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გადანაწილებისა ან/და საოპერაციო შემოსავლების კაპიტალიზაციის მიხედვით, მაინც რთულია შემოწმდეს ყველა საერთო დანახარჯის განაწილების დასაბუთება რეგულირებად და არარეგულირებად საქმიანობებს შორის. ძალზედ მნიშვნელოვანია ხარჯების ალოკაციის კვალიფიციური მეთოდიკის შემუშავება, რადგან ზუსტად და სამართლიანად მოვახდინოთ ტარიფების დადგენა კონკრეტული შემთხვევებისთვის. ენერგეტიკულ სექტორში ცალსახა მიდგომა ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

დანართი №1

დამტკიცებულია
კომისიის 2009 წლის
24 სექტემბრის
15/10 გადწყვეტილებით

<u>რეგულირებადი საწარმოებისა და ლიცენზიატების ყოველწლიური ფინანსური ანგარიში</u>

საწარმოს დასახელება: _____

ლიცენზიის საქმიანობის ტიპი: _____

მისამართი: _____
_____

ტელეფონი: _____

E - mail: _____

ფაქსი: _____

დირექტორის
(უფლებამოსილი წარმომადგენლის)
სახელი, გვარი _____

ინფორმაცია

აქციების მფლობელობა
(მონაწილეობა საწესდებო კაპიტალში)

მფლობელები (პარტნიორები)	აქციებს რაოდენობა (ან წილი %-ებში)
ჩამოთვალეთ 10 უმსხვილესი აქციონერი ან პარტნიორი	
სულ 10 უმსხვილესი	
სხვა აქციონერები (პარტნიორები)	
მთლიანად ყველა აქცია (წილი)	

მონაწილეობა სხვა საწარმოში
(საწარმოს დასახელება, წილის ოდენობა, აქციების %)

საწარმოს ხელმძღვანელობა

სახელი, გვარი	თანამდებობა

ბალანსი *)

20 .... წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებ'ში

ანგარიშის №	დასახელება	საანგარიშო წელი	წინა წელი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში			
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში		
	სულ ნაღდი ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე			
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში		
1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე		
	სულ ნაღდი ფული ბანკში		
მოკლევადიანი ინვესტიციები			
1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		
1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში		
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი		
1340	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები		
	სულ მოკლევადიანი ინვესტიციები		
მოკლევადიანი მოთხოვნები			
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
1410.1			
1410.2			
1410.3			
1410.4			
1410.5			
1410.6			
1410.7			
1410.8			
1410.9	სხვა ორგანიზაციების დებიტორული დავალიანება		
	სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
1415	საეჭვო მოთხოვნების კორექტირება		
1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ		
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		
1440	მოთხოვნები საწარმოს ხელმძღვანელობის მიმართ		
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან		
1460	კაპიტალის შენსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი		
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი		
1480	მომწოდებელზე გადახდილი ავანსები		
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
	სულ მოკლევადიანი მოთხოვნები		
მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები			
1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები		
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი		
	სულ მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები		
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
1610	საქონელი		
1620	ნედლეული და მასალები		
1621	საწვავი გენერაციისათვის - ნახშირი		
1622	საწვავი გენერაციისათვის - ბუნებრივი გაზი		
1623	საწვავი გენერაციისათვის - მაზუთი		
1690	სხვა სასაქონლო - მატერიალური მარაგი		
	სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		

*) მოიცავს მხოლოდ ლიცენზირებულ ან რეგულირებად საქმიანობას. თუ საწარმო ასორტიმენტებს სხვა რეგულირებად ან ლიცენზირებად საქმიანობასაც, იგი დამატებით ავსებს შესაბამის ანგარიშგების ფორმებს

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ბალანსი

20 .... წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

ანგარიშის №	დასახელება	საანგარიშო წელი	წინა წელი
წინასწარ გაწეული ხარჯები			
1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა		
1790	სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		
	სულ წინასწარ გაწეული ხარჯები		
დარიცხული მოთხოვნები			
1810	მისაღები დივიდენდები		
1820	მისაღები პროცენტები		
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები		
	სულ დარიცხული მოთხოვნები		
1910	სხვა მიმდინარე აქტივები		
	სულ მიმდინარე აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები			
2110	მიწა		
2120	დაუმთავრებელი მშენებლობა		
2130	შენობები		
2140	ნაგებობები		
2150	მანქანა-დანადგარები		
2150.1			
2150.2			
2150.3			
2150.4			
2160	ოფისის აღჭურვილობა		
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი		
2180	სატრანსპორტო საშუალებები		
2190	საიჯარო გაუმჯობესება		
	სულ ძირითადი საშუალებები		
ძირითადი საშუალებების ცვეთა			
2230	შენობები		
2240	ნაგებობები		
2250	მანქანა-დანადგარები		
2250.1	რეზერვუარები, კაშხალები და წყლის გაყვანილობები		
2250.2	წყლის საბრუნავი მოწყობილობები, ტურბინები და გენერატორები		
2250.3	ელექტრო მოწყობილობები		
2250.4	გენერაციის სხვა მოწყობილობები		
2260	ოფისის აღჭურვილობა		
2270	ავეჯი და სხვა ინვენტარი		
2280	სატრანსპორტო საშუალებები		
2290	საიჯარო გაუმჯობესება		
	სულ ძირითადი საშუალებების ცვეთა		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ბალანსი

20 .... წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

ახსნა-რიშის №	დასახელება	საანგარიშო წელი	წინა წელი
	გრძელვადიანი მოთხოვნები		
2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები		
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		
2340	გადავადებული საგადასახადო აქტივები		
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		
	სულ გრძელვადიანი მოთხოვნები		
	გრძელვადიანი ინვესტიციები		
2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში		
2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში		
2430	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები		
	სულ გრძელვადიანი ინვესტიციები		
	არამატერიალური აქტივები		
2510	ლიცენზიები		
2520	კონცესიები		
2530	პატენტები		
2540	გუდვილი		
2590	სხვა არამატერიალური აქტივები		
	სულ არამატერალური აქტივები		
	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		
2610	ლიცენზიების ამორტიზაცია		
2620	კონცესიების ამორტიზაცია		
2630	პატენტების ამორტიზაცია		
2640	გუდვილის ამორტიზაცია		
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		
	სულ ა/ა-ების ამორტიზაცია		
	სულ გრძელვადიანი აქტივები		
	სულ აქტივები		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ბალანსი

20.... წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

ანგარიშის №	დასახელება	საანგარიშ წელი	წინა წელი
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
3110	მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		
3111			
3112			
3113			
3114			
3115			
3116			
3117			
3118			
3119	კრედიტორული დავალიანება სხვა მომწოდებლებისადმი		
	სულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		
3120	მიღებული ავანსები		
3130	გადასახდელი ხელფასები		
3140	როიალტი		
3150	საკომისიო გადასახადელები		
3160	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		
3170	ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე		
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები			
3210	მოკლევადიანი სესხები		
3220	სესხები პარტნიორებისაგან		
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		
	სულ მოკლევადიანი სესხები		
საგადასახადო ვალდებულებები			
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი		
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		
3330	გადასახდელი დღგ		
3340	გადახდილი დღგ		
3350	გადასახდელი აქციზი		
3360	გადახდილი აქციზი		
3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
	სულ საგადასახადო ვალდებულებები		
დარიცხული ვალდებულებები			
3410	გადასახდელი პროცენტები		
3420	გადასახდელი დივიდენდები		
3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე		
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები		
	სულ დარიცხული ვალდებულებები		
	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ბალანსი

20 .... წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარებში

ახსნა-განმარტების №	დასახელება	საანგარიშო წელი	წინა წელი
	გრძელვადიანი ვალდებულებები		
	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
4110	გასანაღდებელი ობლიგაციები		
4120	გასანაღდებელი თამასუქები		
4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		
4140	გრძელვადიანი სესხები		
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
	სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
	გადავადებული გადასახდელები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
4210	გადავადებული მოგების გადასახადი		
4220	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
	სულ გადავადებული გადასახდელები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
	გადავადებული შემოსავალი		
4410	გადავადებული შემოსავალი		
	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
	საკუთარი კაპიტალი		
	საწესდებო კაპიტალი		
5110	ჩვეულებრივი აქციები		
5120	პრივილეგირებული აქციები		
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები		
5140	სემისიო კაპიტალი		
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში		
	სულ საწესდებო კაპიტალი		
	პარტნიორთა კაპიტალი		
5210	პარტნიორთა კაპიტალი		
	მოგება/ზარალი		
5310	გაუნაწილებელი მოგება		
5320	დაუფარავი ზარალი		
5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		
	სულ მოგება/ზარალი		
	რეზერვები და დაფინანსება		
5410	სარეზერვო კაპიტალი		
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		
5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი		
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება		
	სულ რეზერვები და დაფინანსება		
	სულ საკუთარი კაპიტალი		
	სულ ვალდებულებები და კაპიტალი		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
წელი_____

ანგარიშის №	დასახელება	ათას ლარებში	
		საანგარიშო წელი	წინა წელი
საოპერაციო შემოსავლები			
6110	შემოსავალი რეგულირებადი საქმიანობიდან		
მათ შორის			
6111.1			
6111.2			
6111.3			
6114.9	სხვა		
6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები		
	სულ საოპერაციო შემოსავლები		
საოპერაციო ხარჯები			
ლიცენზირებადი საქმიანობის პირდ. ხარჯები (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება)			
7110	ძირითადი მასალების დანახარჯები /შეძენა		
7120	სახელფასო ფონდი		
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები /შეძენა		
7150	არაპირდაპირი ხელფასი		
7170	ცვეთა და ამორტიზაცია		
7180	რემონტის დანახარჯები		
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება		
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები		
	სულ რეგულირებადი საქმიანობის პირდაპირი ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
7410	შრომის ანაზღაურება		
7420	საიჯარო ქირა		
7425	საოფისე ინვენტარი		
7430	კომუნიკაციის ხარჯები		
7435	დაზღვევა		
7440	რემონტი		
7445	კომპიუტერის ხარჯები		
7450	საკონსულტაციო ხარჯები		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
წელი_____

ანგარიშის №	დასახელება	ათას ლარებში საანგარიშო წელი	 წინა წელი
7455	ცვეთა და ამორტიზაცია		
7456	წარმომადგენლობითი ხარჯები		
7460	საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები		
7465	სხვა საგადასახადო ხარჯები		
7490	სხვა საერთო ხარჯები		
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	სულ საოპერაციო ხარჯები		
	წმინდა საოპერაციო მოგება		
	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		
	არასაოპერაციო შემოსავლები		
8110	საპროცენტო შემოსავლები		
8120	დივიდენდები		
8130	არასაოპერაციო მოგება		
8130.1	ვალუტის კურსის ცვლილება		
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
	სულ არასაოპერაციო შემოსავლები		
	არასაოპერაციო ხარჯები		
8210	საპროცენტო ხარჯები		
8211	მოკლევადიანი დავალიანების პროცენტი		
8212	გრძელვადიანი დავალიანების პროცენტი		
8220	არასაოპერაციო ზარალი		
8220.1	ვალუტის კურსის ცვლილება		
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
	სულ არასაოპერაციო ხარჯები		
	განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები		
	განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები		
9110	განსაკუთრებული შემოსავლები		
9120	განსაკუთრებული ხარჯები		
	სხვა ხარჯები		
9210	მოგების გადასახადი		
	წმინდა მოგება/ზარალი		

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
წელი_____

ათას ლარებში

	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
1	ფულადი სახრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	
2	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები(+)	
3	მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	
4	თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	
5	გადახდილი პროცენტები (-)	
6	გადახდილი გადასახადები(-)	
7	გაუთვალისწინებელი შემოსავლები (+)	
8	გაუთვალისწინებელი ხარჯები (-)	
9	სხვადასხვა (ქველმოქმედება, ვალუტის კურსთა შორის სხვაობა) (-/+)	
10	**წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან**	
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
11	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით (-)	
12	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	
13	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)	
14	მიღებული პროცენტები(+)	
15	გადახდილი პროცენტები (-)	
16	მიღებული დივიდენდები(+)	
17	სხვადასხვა (-/+)	
18	**წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან**	
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად (+)	
20	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
21	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება (-)	
22	გადახდილი დივიდენდები(-)	
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
23	ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	
24	ფულადი სახსრები და ექვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	

საწარმო ან/და ლიცენზიატი აქ დაურთავს ფულის მიმოქცევის უწყისს.
უწყისი უნდა შეესაბამებოდეს ბასს-ს და უნდა შეიცავდეს:
საოპერაციო საქმიანობას
საინვესტიციო საქმიანობას
საფინანსო საქმიანობას

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

_____ წელი

№	მაჩვენებლები	სს ან შპს (საწესდებო) კაპიტალის	დამატებითი (საემისიო) კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვები და დაფინანსება	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
I	**ნაშთი საანგარიშო პერიოდის წინა წლის 1 იანვრისთვის**							
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუღიარებელი შემოსულობა ან ზარალი							
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი							
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
II	**ნაშთი საანგარიში წლის 1 იანვრისთვის**							
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ან შემცირება							
2	ქონების გადაფასება							
3	ინვესტიციების გადაფასება							
4	მოგება ზარალის ანგარიშში აუღიარებელი შემოსულობა ან ზარალი							
5	მოცემული პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი							
6	დარიცხული დივიდენდები							
7	სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში							
III	**ნაშთი მომავალი წლის 1 იანვრისთვის**							

საწარმოს ხელმძღვანელი
მთ. ბუღალტერი

<u>შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე</u>

წელი_____

გააკეთეთ შენიშვნები და განმარტებები ფინანსურ უწყისებზე ბასს-ის მიხედვით.

აგრეთვე წარმოადგინეთ დამატებითი ინფორმაცია (საწარმოო თუ ტექნიკური), რომელიც დაეხმარება მკითხველს უკეთ გაიცნოს საწარმო.

საწარმოს ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

<u>აუდიტის ანგარიში</u>

წელი _____

საწარმომ უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში
წინა გვერდებზე მოყვანილ ძირითად ფინანსურ მონაცემებზე

გმადლობთ ყურადღებისთვის!